ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

16 მაისი, ოთხშაბათი, 1990 წ.
№ 90 (10 259) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს ინფორმაცია მთელს მსოფლიოში გავრცელდა

ოლიმპიური დღე საქართველოში

განვლილ კვირა დღეს საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ინიციატივით რესპუბლიკაში პირველად ჩატარდა ოლიმპიური დღე. მასობრივ შეჯიბრებათა სტარტზე გამოვიდა ათასობით სპორტსმენი და ფიზკულტურელი, რომელთა განკარგულებაში იყო ყველა სტადიონი, სპორტული დარბაზი და მოედანი.

თბილისში ამ დღეს დაამთხვიეს საცხენოსნო სეზონის საზეიმო გახსნაც, ხოლო ჯანმრთელობის ზეიმის მთავარ მოვლენად იქცა 13-კილომეტრიანი გარბენი თბილისის ქუჩებში, რომელიც ეროვნულ გმირთა ხსოვნას მიეძღვნა. მონაწილეთა მაისურებს ამშვენებდა რბენის ახლად შექმნილი რესპუბლიკური ასოციაციის ემბლემები.

— „ჩვენი ასოციაცია ორი თვის წინათ შეიქმნა რბენის მოყვარულთა კლუბების „კუსა“ და „მგლის მუხლის“, აგრეთვე ცივ წყალში ცურვისა და გაკაჟების რესპუბლიკური კლუბის ბაზაზე, — თქვა ასოციაციის პრეზიდენტმა გურამ ნიკოლაიშვილმა, — მასში გაერთიანდნენ როგორც მოქმედი სპორტსმენები, ისე გამაჯანსაღებელი დასვენების მოყვარულები“.

სხვათა შორის, 56 წლის პრეზიდენტი გარბენის ყველაზე უფროსი მონაწილე გამოდგა, ყველაზე უმცროსი კი 12 წლის მოსწავლე ლევან რაზმაძე გახლდათ.

ოლიმპიური დღე ფართოდ აღინიშნა რესპუბლიკაში. მაგალითად, აფხაზეთში გამართულ ზეიმში მონაწილეობა მიიღო 16 ათასამდე ახალგაზრდა სპორტსმენმა და ასობით უფროსი ასაკის ადამიანმა. გუდაუთის რაიონში თვით უხუცესებიც ამხედრდნენ ცხენებზე და იპოდრომზე გავიდნენ, ხოლო სოხუმის ქუჩებში გამართულ ორკილომეტრიან კროსში 1500-მდე ადამიანმა მიიღო მონაწილეობა.

მასობრივი შეჯიბრებები (სპორტის ეროვნულ სახეობებში, სიმძიმეების აწევაში, მინიფეხბურთში, კალათბურთში, ფრენბურთში, მძლეოსნობაში, ცურვაში) ჩატარდა საქართველოს ყველა ქალაქსა და სოფელში. ამიერიდან ოლიმპიური დღე ყოველწლიურად აღინიშნება.

საკდენი.



ჯერი უფროსებზეა!

ამინდი ვერ იყო სამაისო. საკმაოდ ცივდა, მაგრამ ოლიმპიური დღის აღსანიშნავად დუშეთში შეკრებილი ყმაწვილების ენთუზიაზმი იოტისოდენად ვერ გაანელა.

დაბა-სოფლებს ჩამოვთვლით და თავად მიხვდებით, რამდენი გოგობიჭი შეიკრიბა იმ დღეს დუშეთის სკოლა-ინტერნატის სპორტულ მოედანზე: მასპინძლებზე, დუშელებზე აღარას ვიტყვი. ისინი, რა თქმა უნდა, სხვებს სჯარბობდნენ; ფანსაანური, ანანური, ჭართალი, არაგვისპირი, ჟინვალი, საშაბურო, საკრამული, გრემისხევი, ლამოვანი, ჭოპორტი, პირმისაანთკარი, აბანოსხევი, ბარისახო...

რაიონის სპორტის თავკაცები გონივრულად მოიქცნენ: ტრადიციად ქცეული და ,,აცმა რომ თქვას, საკმაოდ მოყირჭებული გარბენ-ესტაფეტების ნაცვლად, საქართველოში პირველად გამართული ოლიმპიური დღის მონაწილეებს სპორტის ეროვნულ სახეობებში შეჯიბრება შესთავაზეს.

ჯერ ლატი გახურდა. გადაწყვეტილება ნამდვილად სწორი იყო: სიცივისაგან აბუზულ ბავშვებს ლატზე უკეთ რა შეახურებდა. მერე ისეთი ლატი სცოდნიათ, თამაში კი არა, ყურება შეგათბობდა. ამ თამაშის მსურველი იმდენი იყო, გუნდების ქვეჯგუფებად დაყოფა გახდა საჭირო. მართლაც, ,,აარგი სანახავი ყოფილა მინდორზე ნათამაშები ლატი. ბალახის საფარზე დაწყობილ ,,ამრებს ისეთი თვალშეუვლები ნახტომით იტაცებდნენ ბიჭები, აკრობატებს შეშურდებოდათ. საბოლოოდ, ყველას დუშეთის სკოლა-ინტერნატის მოლახტეებმა აჯობეს. მერე სიგრძეზე ჭოკით ხტომის ჯერი დადგა. აქ ყველაზე მარჯვენი გამოდგნენ არაგვისპირელი ხვიჩა ქაშიაშვილი და დუშელი ცისანა ცაბაურაშვილი.

ყველაზე მეტი ინტერესი მაინც „ორსართულიანმა ჭიდაობამ“ გამოიწვია. ხვდებით, ალბათ, რაზეა ლაპარაკი — ერთი ყმაწვილი მეორეს შეისვამს მხრებზე და ასეთსავე წყვილს ეჭიდავებიან, უფრო სწორად, ეძიძგილავებიან. ამ მხიარულ და არც თუ ადვილ სახეობაშიც დუშეთის სკოლა-ინტერნატელებმა — ზურაბ ქაშიაშვილმა და ჯანო დაიაურმა იყოჩაღეს. არც მშვილდოსნობა იყო უინტერესო სანახავი. ქარმა კი ძალიან გააწვალა მოისარნი, მაგრამ თავისი ხელით გაკეთებულ მშვილდს ვაჟებიც და გოგონებიც მარჯვედ ხმარობდნენ. იმ დღეს ჩუბინობით თავი ისახელეს აბანოსხეველმა იმედა პაპკიაურმა და ბარისახელმა გოჩა ჭინჭარაულმა. სკოლა-ინტერნატში გამართული შეჯიბრებების პარალელურად დუშეთის საჭიდაო დარბაზში ქართული ჭიდაობის ტურნირი ტარდებოდა. 60 მოჭიდავეში ყველაზე ტექნიკური ფალავნის პრიზი არაგვისპირელ მოსწავლეს ივერი ჯიქურაულს გადასცეს. სხვებზე ყოჩაღ ყმაწვილებს იმ დღეს მართლაც კარგი ჯილდოები ერგოთ: სეოკ-ის სპორტის ეროვნულ სახეობათა კომისიის თავმჯდომარემ დავით კილასონიამ და ასპარეზობის ორგანიზატორებმა გამარჯვებულნი სპორტული ფორმით დააჯილდოვეს.

ფითელი წყარო. ოლიმპიური დღისადმი მიძღვნილმა ღონისძიებებმა უამინდობის გამო დარბაზებს „შეაფარეს თავი“. მოეწყო შეჯიბრებები კალათბურთში, ფრენბურთში, ჭადრაკში, სიმძიმეების აწევაში, ქართულ ჭიდაობაში. აქაურმა თავისუფალი სტილის მოჭიდავეებმა ამხანაგური შეხვედრა გამართეს ახმეტის რაიონის მოჭიდავეებთან.

„ლელოს“ კორ.

თელავი. ოლიმპიური დღის აღსანიშნავად მოწყობილ მასობრივ სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღო ათასზე მეტმა კაცმა.

ზ. მაისურაძე.

ზუგდიდი. ქართული ჭიდაობა და ლელობურთი იყო დამამშვენებელი იმ სპორტული ასპარეზობისა, რომელიც ზუგდიდში გაიმართა. გარდა ეროვნულ სახეობებში მოასპარეზეებისა, სარბიელზე გამოვიდნენ ტანმოვარჯიშეები, მძლეოსნები, კარატისტები, ფეხბურთელები, ფრენბურთელები, ჩოგბურთელები.

ჩხოროწყუში ოლიმპიური დღის ღირსეული „ფინალი“ იყო ოთხი სოფლის ლელობურთელთა ტურნირი. გარდა ამისა, შეჯიბრებები გაიმართა ქართულ ჭიდაობაში და სპორტის ოლიმპიურ სახეობებში.

„ლელოს“ კორ.

ბორი. ჩატარდა ოლიმპიური დღის აღსანიშნავად დაგეგმილი ყველა ღონისძიება. სპორტული ზეიმის გვირგვინად იქცა ქალაქისა და რაიონის თორმეტი გუნდის ფინალური შეხვედრები ეროვნულ თამაშებში და ვარჯიშებში.

ბ. ხაჩიძე.

ახალციხე. ოლიმპიურ დღეს მიეძღვნა რაიონის სპორტულ ბაზაზე გამართული ღონისძიებები, რომელთა პროგრამაში იყო ქართული ჭიდაობა, ლატი, მკლავჭიდი, ძალოსნობა, მძლეოსნური კროსი, ფეხბურთი.

გ. მიქელაძე.

დღის წესრიგშია ოლიმპიური პრობლემები

პრობლემები, რომელსაც წააწყდა სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტის ახლახან არჩეული აღმასკომი, ჯერ კიდევ უძრაობის პერიოდიდან მოდის და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროებთან ერთად სპორტსაც მტკივნეულად შეეხო. არა და, ქვეყნის ოლიმპიურმა კომიტეტმა უნდა გადაწყვიტოს ოლიმპიური ქარტიიდან გამომდინარე საკითხები, რომლებიც უპირატეს მნიშვნელობას სრულებითაც არ ანიჭებს დიდ სპორტსა და მედლებს.

სწორედ . ამ პრობლემების შესახებ იყო საუბარი სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტის 14 მაისის სხდომაზე, იმ ორგანიზაციის შეკრებაზე, რომელსაც ჯერ არც კი გაეჩნია თავისი ანგარიში, კავშირის საშუალებები და ბინა.

ჟურნალისტებისათვის გამართულ ბრიფინგზე სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტის ახლახან არჩეულმა პრეზიდენტმა ვ. სმირნოვმა სწორედ ამ პრობლემების შესახებ ისაუბრა. მან აღნიშნა, რომ ოლიმპიურმა კომიტეტმა არსებულ სახელმწიფო სისტემაში თავისი კანონიერი ადგილი უნდა დაიკავოს, ამისთვის კი საჭიროა ოლიმპიური კომიტეტის კანონმდებლური „ლეგალიზაცია“. ადრე, სმირნოვის განცხადებით, ოლიმპიური კომიტეტი უბადაღებული აპარატის დანამატს წარმოადგენდა, ახლა კი შეიცვალა დრო და ვითარება. ოლიმპიურმა კომიტეტმა, მისი პრეზიდენტის აზრით, უნდა ითანამშრომლოს სპორტსახკომთან და ფედერაციებთან. საქმე ყველას საკმარისზე მეტი ექნება.

სმირნოვმა ჟურნალისტებს გააცნო საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების წარმომადგენელთა ამასწინანდელი შეხვედრის დეტალები (ეს შეხვედრა, როგორც ცნობილია, ლოზანაში გაიმართა), რომელზეც აღინიშნა, რომ ამ ორ რეგიონს შორის საკმაოდ რეალური და მყარი კავშირი არსებობს. სამარანჩი დათანხმდა სოკ-ის, სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტისა და ბალტიისპირეთის სპორტული ორგანიზაციების სამმხრივ შეხვედრაზე, ოღონდ, განაცხადა, რომ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი ახალი წევრების მიღების საკითხს 1991 წლამდე არ განიხილავს.

ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში სოჭის კანდიდატურის შესახებ სმირნოვმა თქვა, რომ შავიზღვისპირეთის ამ ქალაქს არა აქვს ცუდი შანსები, მაგრამ იგი ჰკარგავს ძვირფას დროს საზოგადოებრივი აზრის შესაქმნელად.

„ლელოს“ რედაქციისაგან: როგორც ცნობილია, საქართველო პირველი რესპუბლიკა იყო, რომელმაც საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში შექმნა ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი. ცენტრისთვის ის პოზიცია, რომელიც სეოკ-მა იმთავითვე დაიკავა, მიუღებელი იყო. ახლა კი თავადაც სწორედ იმ გზით მიდიან, რასაც ჩვენ დავადექით. „ოლიმპიური კომიტეტი უბადაღებული აპარატის დანამატს“ წარმოადგენდაო. ჩვენ კი სწორედ იმიტომ არ მოვდიოდით ცენტრს თვალში, რომ არ გვინდოდა „დანამატი“ ვყოფილიყავით. სიმართლე უნდა ითქვას, თვით საქართველოს სპორტსახკომის პოზიცია იყო, რომ ოლიმპიური კომიტეტი, არც შინ, არც გარეთ, აპარატის დანამატი არ გამხდარიყო. ახლა, როგორც ჩანს, ჩვენ უკეთესად გვქონია საქმე, ვიდრე საკავშირო ოლიმპიურ კომიტეტს, რომელსაც დღემდე თურმე, სხვა რომ არ ვთქვათ, ბანკში საკუთარი ანგარიშიც არ გააჩნია...

თამაზ იმნაიშვილი ბოლონიას მიემგზავრება

როგორც ცნობილია ამ დღეებში იტალიის ქალაქი ბოლონია სასტენდო სროლაში უმასპინძლებს მსოფლიო თასის გათამაშებას. შეჯიბრებაზე გათამაშდება მედლების ორი კომპლექტი მრგვალ და სატრანშეო სტენდზე სროლაში. აქვე გაირკვევა ბარსელონის ოლიმპიური თამაშების ორი ლიცენზიის მფლობელი.

საბჭოთა კავშირის ნაკრების ღირსებას ბოლონიაში რვა მსროლელი დაიცავს. მრგვალ სტენდზე გამოვლენ: თბილისელი თამაზ იმნაიშვილი, ბაქოელი ვალერი ტიმოხინი, როსტოველი ნიკოლოზ ტიოპლი და ლენინგრადელი ვლადიმერ სოკოლოვი. სატრანშეო სტენდზე სროლაში იასპარეზებენ: როსტოველი რომან გულიაევი, კიეველი დიმიტრი მონაკოვი, ტულელი სერგეი ბეზდელგინი და ტალინელი ჰეიკი იანსალუ.

გუშინ საქართველოს რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის X ტურის დანარჩენი შეხვედრები უმაღლესი ჯგუფის გუნდებს შორის.

„სამგურალი“ (წყალტუბო) —
„ლიანგი“ (ცხინვალი) 3:1
„ამირანი“ (ოჩამჩირე) —
„დილა“ (გორი) 0:0
„ოდიში“ (ზუგდიდი) —
„ბორდა“ (რუსთავი) 1:2
„შევარდენი-1906“ (თბილისი)—
„კოლხეთი-1913“ (ფოთი) 2:1
„კოლხეთი“ (ხობი) —
„ივერია“ (ხაშური) 5:0
„ძუთაისი“ (ქუთაისი) —
„იბერია“ (თბილისი) 0:2
„მერცხალი“ (ოზურგეთი) —
„ბათუმი“ (ბათუმი) 0:0
„სანავარდო“ (სამტრედია) —
„ბერია“ (ლანჩხუთი) 1:0

ლეილა მესხი რეიტინგით მეცხრამეტეა

დასავლეთ ბერლინი. აქ დაიწყო ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობენ თბილისელი ლეილა მესხი და კიეველი ნატალია მედვედიევა.

ლეილა მესხმა სასტარტო შეხვედრაში გამანადგურებელი ანგარიშით მოუგო სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის წარმომადგენელს ამანდა კოტცერს — 6:0, 6:0. მიმდინარე სეზონის შეხვედრებში დაგროვილი ქულებით მესხს მსოფლიო რეიტინგში მე-19 ადგილი უკავია. აქ დაწინაურებული არიან: მარტინა ნავრატილოვა (აშშ), შტეფი გრაფი (გფრ) და მონიკა სელესი (იუგოსლავია). მინსკელი ნატალია ზვერევა კი მეხუთე ადგილზეა.

პირველი შეხვედრა მოიგო ნატალია მედვედიევამაც. მან ამერიკელი კეტი რინალდი დაამარცხა — 7:5, 7:6.

რომი. აქ, „ფორო იტალიკოს“ სტადიონის კორტებზე, დაიწყო იტალიის 47-ე ღია ჩემპიონატი, რომლის საპრიზო ფონდია 1,2 მილიონი დოლარი. ტურნირის ორგანიზატორები სინანულს გამოთქვამენ იმის გამო, რომ შეჯიბრებაში ამჯერად არ მონაწილეობენ მსოფლიოს უძლიერესი ჩოგბურთელები: ივან ლენდლი, სტეფან ედბერგი, ბორის ბეკერი, ანდრე აგასი და სხვები.

პირველ ნომრად განთესილმა ამერიკელმა ბრედ ჯილერტმა სასტარტო მატჩში თანამემამულე ჯიმ პიუ დაამარცხა — 1:6, 6:4, 6:4, პირველი შეხვედრები მოიგეს, აგრეთვე, იტალიის ორგზის ჩემპიონმა, ეკვადორელმა ანდრეს გომეშმა და ემილიო სანჩესმა (ესპანეთი). ტურნირში ჯერ არ ჩაბმულა მოსკოველი ანდრეი ჩესნოკოვი.



დამოუკიდებლობისაკენ... აფრიკის გავლით

ელოფი ჩვენს სასარგებლო პროპაგანდას ეწევა

სპორტი გამუდმებით ვითარდება, წინ მიიწევს. მისი სამყარო სულ უფრო მდიდრდება მსოფლიო ხალხების ყოფაში ოდითგანვე ჩამოყალიბებული ფიზიკური აღზრდამომზადების სხვადასხვა საშუალებით, რომლებმაც დახვეწეს შემდეგ თანამედროვე სამოსელი შეიძინეს. სპორტის მოყვარულები ბევრ ასეთ სახეობებს იცნობენ, განსაკუთრებით ეს აღმოსავლური ორთაბრძოლების ნაირსახეობებზე ითქმის, თუნდაც ძიუდო და ტაიკვანდო ავიღოთ. ერთი სიტყვით, თანამედროვე ოლიმპიური მოძრაობა კი არ ზღუდავს, პირიქით, გზას უხსნის სხვადასხვა ხალხების ყოფაში აღმოცენებულ სპორტის სახეობებს, დროდადრო კი მათ საერთაშორისო სტატუსს აძლევს.

ეს შესავალი იმისთვის დაგვჭირდა, რომ სპორტის ეროვნული სახეობებისადმი სეოკ-ის დამოკიდებულება და საერთაშორისო სარბიელზე ჩვენი ხალხის უძვირფასესი „სპორტული ფოლკლორის“ გატანის შესაძლებლობები გვეჩვენებინა. ქართული ჭიდაობის საერთაშორისო აღიარებისთვის გადადგმული პირველი ნაბიჯების შესახებ



ქართველი მორაგბეები გვერუში ერთ-ერთ ვარჯიშზე.

ჩვენს მკითხველს კარგად მოეხსენება და სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

სეოკ-მა წლეულს დღის წესრიგში დააყენა ცხენოსნობის ეროვნულ სახეობებში საერთაშორისო ფედერაციის შექმნის საკითხი, არის მოსაზრება, რომ ფედერაციის ცენტრად საქართველო იქცეს. არა იმიტომ, რომ იდეა ჩვენ გაგვიჩნდა, არამედ იმიტომ, რომ მსოფლიოში არ არსებობს მეორე ქვეყანა, რომელსაც ცხენოსნობაში იმდენი ხალხური თამაშები ჰქონდეს, რამდენიც საქართველოს. მხედველობაში გვაქვს როგორც საკუთარი, ისე სხვა ხალხებისგან გადმოღებული და შემდეგ გათავისებული, ეროვნულ ხასიათს შეგუებული თამაშები. აი, ამიტომ მივეცით თავს უფლება, დაგვეყენებინა ცხენოსნობის ხალხურ სახეობებში საერთაშორისო ფედერაციის შექმნის საკითხი, თუ ეს მცდელობა წარმატებით დასრულდა, მაშინ ჩვენ არაოლიმპიურ სახეობებში კიდევ ერთი საერთაშორისო ფედერაციის წევრი გავხდებით...

ახლა, ჩვენი რესპუბლიკის ყველა წარმომადგენელს, ვისაც კი უცხოეთში უხდება გამგზავრება, ვთხოვთ დაინტერესდნენ, სად, რომელ ქვეყანაშია შემორჩენილი ცხენოსნობის ეროვნული სახეობები.

ვერ ვიტყვით, რომ აფრიკის ცხენოსნობაზე ადრე რაიმე გვსმენოდეს, რატომღაც ეს წარმოუდგენლად მიგვაჩნდა. ფაქტობრივად მართლაც ასეა, ამ ხალხს ცხენოსნობის ძირძველი ტრადიციები არ გააჩნია, მაგრამ, მას შემდეგ, რაც თეთრკანიანებიც დასახლდნენ კონტინენტზე, ცხენიც გაჩნდა, ცხენოსნობაც და ცხენთან დაკავშირებულ ბიზნესსაც დიდი გასაქანი მიეცა — გაშენდა საუკეთესო იპოდრომები, ეწყობა დოღები, რომელთანაც დაკავშირებულია ტოტალიზატორის მოთამაშეთა ვნებათა ღელვა.

საკუთარი თვალით რომ არ გვენახა, ვერასგზით ვერ დავიჯერებდით, რომ ზიმბაბვეში ვიხილავდით მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესო ცხენთა საასპარეზოს. მით უფრო საცოდავებად მოგვეჩვენა თავი —ჩვენ ხომ ხეირიანი ცხენთა საასპარეზები არ გაგვაჩნია და ადგილობრივი ჯიშის მერნებსაც ვერ ვუპატრონეთ. ჩვენი სადოღე ბილიკები, ერთი გულშემატკივრის თქმისა არ იყოს, შარაგზისგან არ განსხვავდება. თვით თბილისის იპოდრომიც კი, ჩვენი ცხენოსნობის ეს ეროვნული კერაც, უამრავმა ორგანიზაციამ „დაიტაცა“, მათ შორის კოოპერატივებმაც, რომლებსაც სპორტთან არაფერი საერთო აქვთ. მაგრამ ამაზე სხვა დროს ცალკე გვექნება საუბარი. ზიმბაბვეში კლასიკურთან ერთად ევროპიდან გადანერგილი ცხენოსნობის ხალხური თამაშებიც დიდ პატივშია და თავისად უქცევია აქაურ ხალხს. იმედი გვაქვს, რომ მომავალში ფედერაციის შექმნაში, რაც სეოკ-ის მიერაა ჩაფიქრებული, ზიმბაბველებიც ამოგვიდგებიან მხარში.

...ზიმბაბვეს რაგბის ფედერაციის პრეზიდენტმა, რომელმაც 22 აპრილს შინ მიგვიწვია, აღნიშნა, რომ მას ძალიან მოეწონა ქართველი მორაგბეები, რომ ჩვენმა გუნდმა დამაჯერებლად გამარჯვა და ბევრად აჯობა მასპინძლებს. პრეზიდენტმა განსაკუთრებით გაუსვა ხაზი ჩვენების სათამაშო დისციპლინას, სპორტულ ეთნს. აფრიკის ჩემპიონატისა და მსოფლიო თასის გათამაშების წინ უკეთეს სპარინგ-პარტნიორს ალბათ ვერც ვინატრებდითო, თქვა მან. ბოლოს კი, თავის მხრივ, ისიც დასძინა, რომ სასურველია მომავალში კიდევ უფრო გავაღრმავოთ ამ ორ ქვეყანას შორის სპორტული მეგობრობა.

რამდენიმე სიტყვა თვით ზიმბაბვეს რაგბის ფედერაციის პრეზიდენტის რიი ჰაკერის შესახებ. წარმოშობით მისი წინაპარი დიდ ბრიტანეთიდან ყოფილა. ამჟამად ეს კაცი შვიდი კომერციული ფირმის პრეზიდენტია. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ ამ ქვეყნის რაგბი საერთაშორისო ურთიერთობებში წელგამართულია.

აქვე გვინდა დავუბრუნდეთ პროფესორ ელოფის ჩვენდამი დამოკიდებულების საკითხს. ხდება ხოლმე, ადამიანი დაგშორდება და რა პოზიციას დაიკავებს, კაცმა არ იცის. ღმერთმანი, ასეთი ეჭვი ელოფის მიმართ არ გაგვჩენია, ის კი, რომ პრინციპული პიროვნება გამოდგა და სიტყვის კაცია, სულ მალე დადასტურდა. ნამდვილად არ მოველოდით, რომ იგი ასე ჩქარა ჩაებმებოდა საქმეში და თავისი დიდი ავტორიტეტით დაგვეხმარებოდა, ვიდრე შინ დაბრუნდებოდით და ვცდილობდით ყველაფერი ლოგიკურად გაგვეანალიზებინა, მოვიდა ცნობა, რომ ბატონი ელოფი უკვე ეწევა რაგბის სამყაროში პროპაგანდას ჩვენს სასარგებლოდ. იოჰანესბურგის გავლენიან გაზეთ „ბელდში“, სწორედ ამ კაცის შემწეობით და ჩვენდამი კეთილგანწყობით, აპრილის ბოლოს, გამოჩნდა სარედაქციო წერილი. მასში ლაპარაკია იმაზე, რომ იკვეთება პრაქტიკული ნაბიჯები პრეტორიასა და კეიპტაუნში ჩვენი მორაგბეების მომავალი ვიზიტის მოსაწყობად. ბატონ ელოფს ჩვენთან საუბარში არაერთხელ აღუნიშნავს, რომ სპორტს ისეთი ქვეყნებისა და ხალხების დამეგობრების საქმეშიც შეუძლია უდიდესი წვლილი შეიტანოს, რომლებთანაც რაღაც მიზეზების გამო ურთიერთობები შეზღუდულია. სეულის ოლიმპიადამდე, მაგალითად, ასეთი ქვეყანა იყო სამხრეთ კორეა, მაგრამ ჩატარდა ოლიმპიური თამაშები და „სოციალისტურ ბანაკთან“ უმალვე გაიხსნა გზა. ახლა მოსკოვსა და სეულს შორის საავიაციო ხიდიც კი გაიდო. თუნდაც ისრაელთან სპორტული კავშირები გაიხსენეთ.

საქართველოს სპორტსახკომის თავმჯდომარე ნ. ენდელაძე და აშშ-ის ელჩი ზიმბაბვეში საქართველო — აშშ-ის სპორტული დელეგაციების მეგობრულ შეხვედრაზე.

დავუბრუნდეთ გაზეთ „ბელდის“ პუბლიკაციას. გაზეთი წერს: „საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა, რომელმაც აპრილში რამდენიმე ამხანაგური შეხვედრა ჩაატარა ზიმბაბვეში, მიიღო მოწვევა ითამაშოს სამხრეთ აფრიკაში. ეს გააკეთა სამხრეთ აფრიკის რაგბის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ელოფმა, რომელიც ჰარარეში საქართველო—ზიმბაბვეს ეროვნულ ნაკრებთა ბოლო მატჩს ესწრებოდა. ელოფს მოეწონა ქართველ სპორტსმენთა თამაში და სთხოვა მათ ეწვიონ სამხრეთ აფრიკას“.

ვიდრე გამოგვემშვიდობებოდა, პროფესორმა ფრიც ელოფმა „ლელოს“ ბლოკნოტში ეს სიტყვები ჩაწერა: „ვუსურვებ საქართველოს რაგბის კავშირს დიდ მომავალს რაგბის სამყაროში“.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ის საუკეთესო პოლიტიკური ძვრები, რაც სამხრეთ აფრიკაში ბოლო ხანებში ესოდენ შესამჩნევია, ამ ქვეყანაში სპორტული დელეგაციების ვიზიტის რეალურ პირობებსაც შექმნის.

ქართველები კარზე აკაკუნებენ

შინ დაბრუნებისას ზაზა ბაკურაძეს და მალხაზ ჭეიშვილს გავესაუბრე, მაინტერესებდა თვით სპორტსმენთა აზრი ზიმბაბვეში ჩატარებული მატჩების თაობაზე.

ზაზა ბაკურაძე: — ტურნირმ გაამართლა, ოღონდ იმ ერთი წაგების დარდი დადნას არ გაგვინელდება. ჩვენი გუნდი დღეს ძალიან ძლიერია, ვფიქრობ, მსოფლიო ათეულში შევა. მეტი შრომაა საჭირო, მეტი საერთაშორისო შეხვედრა. რაც მეტს ვითამაშებთ უცხოეთის გუნდებთან, მით უკეთესი. საქართველოში ბევრი ახალგაზრდაა გატაცებული რაგბით და მათთვის საბოლოო მიზანი — ეროვნულ ნაკრებში მოხვედრა, გამოკვეთილი უნდა იყოს.

მალხაზ ჭეიშვილი: — ჩვენ ახლა ეროვნული ნაკრების ყველა ხაზზე ძლიერი მოთამაშეები გვყავს, განსაკუთრებით შერკინებაში, სამეოთხედელებს მათი წყალობით დიდი ჯაფა არ ადგათ. ასეთ გუნდს შეუძლია ნებისმიერ მეტოქეს გაუმკლავდეს. აუცილებლად გვჭირდება ისეთი ტესტ-მატჩები, როგორიც ზიმბაბვეში ჩავატარეთ. ტესტ-მატჩების ტრადიცია საუკუნეზე მეტს ითვლის. ეს შეხვედრები ირბ-ის ეგიდით ტარდება. ამიტომაც აირჩია საქართველოს რაგბის კავშირმა ირბ-ისთან ურთიერთობის გზა.

დასასრულ შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ ჩვენ უკვე მსოფლიო რაგბის კარებთან ვდგავართ და სრული უფლება გვაქვს, აღიარება მოვითხოვოთ. ერთხელ მორიდებულად უკვე დავაკაკუნეთ ამ კარებზე. ყველაფერი წლეულს, ოქტომბერ-ნოემბერში გადაწყდება ლონდონში, ირბ-ის მომავალ კონგრესზე. მოგვიხურავენ კარებს თუ ბოლოს და ბოლოს სამართალი იზეიმებს და გავიგონებთ ესოდენ სანატრელ სიტყვას — მობრძანდით!

იმედი ვიქონიოთ, რომ მომავალი ჩვენია.

თენგიზ გაჩეჩილაძე.
ჰარარე—თბილისი.
აპრილი, 1990 წ.

დასასრული. დასაწყისი იხ. „ლელო“ № 84, 85, 86, 87.

I wish the Georgian Rugby Union a great future in world rugby

Fritz Eloff
29.04.90

მეგატიანისათვის

პირველი ტურნე სტატისტიკის ენაზე

I თამაში

ჰარარე. „ფოლის გრაუნდზი“. ოთხშაბათი, 11 აპრილი.

მაშონალენდის ოლქი — საქართველო 6:28 (6:10).

მსაჯი კ. ვენთი (ზიმბაბვე). ბურთები: მაშონალენდი — 2 საჯარიმო (კიუნი); საქართველო — 4 ლელო (გ. გიუნაშვილი, ხვედელიძე, მარჯანიშვილი, ხუადე), 3 გარდასახვა (ჩავლეიშვილი), 2 საჯარიმო (ჩავლეიშვილი).

II თამაში

ბულავაიო. „ჰართსფილდ გრაუნდი“. შაბათი, 14 აპრილი.

პირველი ტესტი: ზიმბაბვე — საქართველო 22:16 (12:9).

მსაჯი ქ. ბრეითონი (უელსი). ბურთები: ზიმბაბვე — 3 ლელო (ძინომურუმბი-2, რექსი), 2 გარდასახვა (ფერეირა), 2 საჯარიმო (ფერეირა); საქართველო — 2 ლელო (ნაჭყებია, მარჯანიშვილი), გარდასახვა (ძაგნიძე), 2 საჯარიმო (ძაგნიძე).

III თამაში

გვერუ. „სფორთს ქლაბი“. ოთხშაბათი, 18 აპრილი.

შიდა ზიმბაბვე („მიდლენდზი“) — საქართველო 0:44 (0:24).

ზიმბაბველი მსაჯი. ბურთები: საქართველო — 8 ლელო (მარჯანიშვილი-2, ხვედელიძე, ლიპარტელიანი, ძაგნიძე, ქერაული, ნაჭყებია, ლილუაშვილი), 6 გარდასახვა (ძაგნიძე).

IV თამაში

ჰარარე. „ფოლის გრაუნდზი“, შაბათი, 21 აპრილი. თამაშის მიწურულს გაწვიმდა.

მეორე ტესტი: ზიმბაბვე — საქართველო 10:26 (3:13).

ზიმბაბველი მსაჯი. ბურთები: ზიმბაბვე — ლელო, 2 საჯარიმო (ფერეირა); საქართველო — 4 ლელო (ხვედელიძე-2, შვანგირაძე, ფხაკაძე), 2 გარდასახვა (ძაგნიძე), 2 საჯარიმო (ძაგნიძე).

სულ:

4 თამაში, 3 მოგება, 1 წაგება, ბურთები 114:38, ლელოები 18:4; ტესტ-სერია 1:1.

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ჯგუფი

„ცხუმი“ (სოხუმი) — „მზიური“ (ბალი) — 3:1 (2:0)

სოხუმი. ცენტრალური სტადიონი. 14 მაისი.

„ცხუმი“: ბენიძე, ჩიხრაძე, ფარულავა, დოჩია, მალანია, ინალიშვილი (სიჭინავა), მორგოშია, პაპავა, გოგრიჭიანი, გაბესკირია, კურგენიანი.

„მზიური“: მაკახარაშვილი, ა. კვეკვესკირი, ფარფალია, ღურწკაია, ხურცილავა, კ. კვეკვესკირი, კაკავა, ეთერია (თ. ყოლბაია), ჩხეტია, ხარჩილავა, ქანთარია.

მსაჯები: მ. მაღლაფერიძე, გ. მიქაუტაძე, პ. დოგრაშვილი (სამივე — ქუთაისი).

გააფრთხილეს: გოგრიჭიანი, კ. კვეკვესკირი.

სოხუმის ცენტრალურ სტადიონზე გამართულ ამ შეხვედრას 6 ათასი მაყურებელი დაესწრო. ამიდმაც ხელი შეუწყო თამაშს, ასე რომ, შეხვედრამ მაყურებელთა დიდი ინტერესი გამოიწვია.

პირველი ტაიმი „მზიურის“ შეტევებით დაიწყო და უკვე მე-3 წუთზე ხარჩილავამ ვერ გამოიყენა კარის აღების რეალური შანსი. გალელთა ფორვარდის ამ აქტიურობას სოხუმელთა სახიფათო შეტევები მოჰყვა. ტაიმი „ცხუმის“ უპირატესობით წარიმართა, მასპინძლებმა რამდენიმე საგოლე მომენტი შექმნეს, მაგრამ მათგან მხოლოდ ორი გამოიყენეს: ჯერ ინალიშვილმა მე-19 წუთზე ლამაზი დარტყმით გახსნა ანგარიში, ხოლო 27-ე წუთზე გოგრიჭიანმა მეორედ აიღო სტუმართა კარი (2:0).

მეორე ტაიმში მეტოქეებმა უმატეს ტემპს, გოლის გატანის არაერთი შესაძლებლობა ჰქონდათ ორივე გუნდის ფეხბურთელებს, რომელთაგან ერთ-ერთი 67-ე წუთზე გალელმა ხარჩილავამ გამოიყენა და შორიდან გაიტანა ბურთი სოხუმელთა კარში.

90-ე წუთზე მორგოშიამ იმარჯვა და სხვაობა ანგარიშში 3:1-მდე გაზარდა.

თენგიზ პაჭკორია.
„ლელოს“ კორ.

ბრძოლაში მასპინძლებიც შნდა ჩაერიოს

როდესაც 25 აპრილს ფოთის საცხენოსნო სპორტული კლუბის მინდორზე ფეხი შევდგი, გამახსენდა რამდენიმე დღის წინ თბილისელი ახალგაზრდა მხედრების ნათქვამი: „გვიხარია იქ წასვლა, კარგად ატარებენ შეჯიბრებას“... ისიც მომაგონდა, რომ თვენახევრის წინ თბილისის იპოდრომზე ამიერკავკასიის ზონალურ შეჯიბრებაზე ტყუილად დამირჩა მიყვანილი მეგობარი ფოტორეპორტიორი (ფერადი სლაიდი მინდოდა საკავშირო საცხენოსნო ჟურნალისათვის) — ერთობ „უფერული“ მეჩვენა ასპარეზი. აქ კი, ფოთში, მწვანედ ხასხასებდა ბაგირითა და ალმებით შემოსაზღვრული საკონკურო მინდორი, რომელზეც — ღრუბლიან დღესაც კი — ლამაზად, სწორედ რომ სადღესასწაულოდ იდგნენ ახლად შეღებილი, შნოიანად გაფორმებული დაბრკოლებები, ისმოდა რადიოს ხმა, რაც იმის საწინდარი იყო, რომ ასპარეზობის მიმდინარეობის ძირითადი მონაცემები მაყურებლისთვის საიდუმლოდ არ დარჩებოდა. განა ასეთი რა იყო, რომ საგანგებოდ ღირდეს ამის აღნიშვნა, როგორც სპორტის ამა თუ იმ სახეობის გარიჟრაჟზე იცოდნენ ხოლმეო? — შეიძლება იფიქროს ვინმემ; მაგრამ რახან სანატრელად გაგვხდომია, ნამდვილად საჭიროა; და თუ მწვანე, ლამიანი, რბილი მინდორი, ზღვისპირეთის მადლია, არა გვგონია, დაბრკოლებებს აქაური წვიმა და მზე სხვა ადგილებზე ნაკლებ ახუნებდეს — ასე რომ, ნამდვილად ღირს ამ სიკეთის აღნიშვნა. მით უმეტეს — გახსნის აღლუმი მართლა ასპარეზობის გახსნისას მოეწყო და თანაც ყველა სპორტსმენის მონაწილეობით; ასევე საზეიმოდ იყო ჩაფიქრებული ასპარეზობის დახურვაც, რაც გადაუღებელი წვიმის გამო ბოლომდე ვერ განხორციელდა, მაგრამ პროგრამაში ჩართულმა ორმა სამკილომეტრიანმა დოღმა, რომელშიც ფოთის საცხენოსნო კლუბის ნაჯვარი ცხენები მონაწილეობდნენ, ხალხურობა შემატა მთელ ასპარეზობას. I დოღში გაიმარჯვა აბორდაჟმა (მხედარი — ოსტატობის კანდიდატი ფოთელი რუსლან კვარაცხელია), II-ში შავგულმა (მხედარი — ზუგდიდელი ყმაწვილი დათო ჯაფარიძე).

სანიმუშოდ იყო მოგვარებული დაბრკოლებათა გადალახვაში საქართველოს აბსოლუტური ჩემპიონატის მონაწილეთა დაბინავებაც, კვებაც, ტრანსპორტით უზრუნველყოფაც...

ერთადერთი ხარვეზი, რაც მისვლისთანავე თვალთახედვის არეში მომხვდა, უალმებოდ მდგარი სავარჯიშო ბარიერი იყო (მოთელვის მინდორზე ბარიერი, ისევე როგორც ასპარეზზე, მონიშნული უნდა იყოს ნახტომის მიმართულების მაჩვენებელი წითელი და თეთრი ალმით. შარშან ჭაბუკთა საკავშირო შეჯიბრებაზე სწორედ მოთელვის დროს მოიხსნა ამ ელემენტარული წესის დარღვევისათვის საქართველოს გუნდის წევრი!). მაგრამ მეორე დღეს უკვე ორი ბარიერი იდგა საპირისპირო მიმართულების აღმნიშვნელი ალმებითურთ.

ასპარეზობა ჩატარდა ახალგაზრდა და უფროსი ასაკის ცხენებით, მონაწილეობდნენ 11 საცხენოსნო ერთეულის სპორტსმენები (გულრიფში, ოჩამჩირე, გალი, ზუგდიდი, წალენჯიხა, სენაკი; ფოთი, ჩოხატაური, ოზურგეთი, თბილისი — სპორტსახკომის საცხენოსნო ბაზა, განათლების სამინისტროს რესპუბლიკური ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლა).

გახსნის პრიზზე (12 დაბრკოლება, 15 ნახტომი), ახალგაზრდა ცხენებით, შეუცდომლად იარა ორმა მონაწილემ: თბილისელმა ხვიჩა ტუსიშვილმა (ცხენი ქსარი) და ოჩამჩირელმა ოსტატმა ოთარ კოტუამ (ფასადი); თითო დაბრკოლება „დაგაზიანეს“ წალენჯიხელმა პირველთანრიგოსნებმა ლაშა და ლევან შანავებმა (ფლუგერი და პაციფისტი). დამატებითი 6 ბარიერის გადალახვით I ადგილი მოიპოვა ტუსიშვილმა, II — კოტუამ, შანავებში III ადგილი ლევანს დარჩა.

ძირითადი ცხენებით იგივე შეჯიბრება ოთხ-ოთხი საჯარიმო ქულით 4 მონაწილემ დაამთავრა: წალენჯიხელმა პირველთანრიგოსანმა პაატა კვარაცხელიამ (ავანსი), ოჩამჩირელმა ოსტატმა ჯონი წაბრიამ (ფურტი), გალელმა ოსტატობის კანდიდატმა ზვიად ანჩაბაძემ (რაზბორი) და ზუგდიდელმა ოსტატმა ოთარ ჯაფარიძემ (ბაეზდჩიკი). დამატებითი 6 ბარიერი უშეცდომოდ გაიარა კვარაცხელიამ, მაგრამ ფინიშის ჭიშკარს ასცდა, უკან შემობრუნება დასჭირდა და 3 საჯარიმო ქულა მიიღო, ანჩაბაძემ და წაბრიამ თითო ბარიერი დააზიანეს, აქ უკვე სისწრაფემ განსაზღვრა გამარჯვებული — გალელი მხედარი. გამოცდილმა ჯაფარიძემ გამარჯვების შანსი აღარ გაუშვა ხელიდან — მაყურებელი მჭუხარე ტაშით შეხვდა მის გაბედულ, უშეცდომო მხედრობას. ასევე დაუფასეს კვარაცხელიას თავის ტანმორჩილი არაბული ულაყით II ადგილის მოპოვება (III ადგილის მფლობელის, ასევე ახალგაზრდა ანჩაბაძის ბუდიონური იაბო ამჟამად რესპუბლიკაში ერთ-ერთი საუკეთესო მხტომელი ცხენია).

II შეჯიბრება (ახალგაზრდა ცხენებით) **სამონადირეო პარკური** იყო (12 დაბრკოლება, 130 სმ სიმაღლე). აქ გამარჯვებულს გამოავლენდა მარშრუტის გავლის სისწრაფე (დაბრკოლების დაზიანება დროის მიმატებით ჯარიმდება). ეს კონკური კიდევ უფრო დამაჯერებლად მოიგო ტუსიშვილმა (84 წმ). მეორე იყო კოტუა (114); სასიამოვნოა, რომ III სარიზო ადგილი წილად ხვდა 16 წლის სენაკელ პირველთანრიგოსანს ვარდენ ხურციას (წმინდა სისხლის ინგლისური ცხენი ირისი, 115). დიდი ხანია, სენაკელი ცხენოსნები კლასიკურ სახეობებში აღარ გამოსულან და ნიჭიერი, კარგი მონაცემების ჭაბუკისა და კრასნოდარის მხარეში ნაყიდი პერსპექტიული ბედაურის პირველი წარმატება ნამდვილად სასიხარულოა; მაგრამ ამ წყვილს დიდი მუშაობა დასჭირდება კონკურის ხელოვნების დასაუფლებლად.

უფროსი ასაკის ცხენებით სპორტსმენები ამ დღეს **ამორჩევითს** კონკურში ცდიდნენ თავს (12, განსხვავებული დადებითი ქულებით შეფასებული ბარიერიდან 9-ის გადალახვის ცდა).

ცხადი იყო, რომ ახალგაზრდა მხედრების უმრავლესობა მზად არაა ამგვარი კონკურების წარმატებით დასაძლევად: ზოგი მოიხსნა მარშრუტის არევისათვის — ერთ ბარიერზე ორჯერ გადახტნენ, მიმართულება დაარღვიეს; ხოლო სამონადირეო პარკურში ჩოხატაურელმა ზურაბ ბერძენიშვილმა თავისი შეუხედავი, მაგრამ ერთგული, ბეჯითი ცხენით (გეპარდი) 9 ბარიერი წმინდად აიღო და დაამთავრა კიდეც მარშრუტი (3 აუღებელი დარჩა!). არადა, რომ გაეგრძელებინა, საუკეთესო შანსი ექნებოდა. ანჩაბაძემ და თბილისის წლევანდელმა აბსოლუტურმა ჩემპიონმა დაბრკოლებათა გადალახვაში, ოსტატმა ზაზა გონჯილაშვილმა (ტეადორი) წმინდად გაიარეს შერჩეული მარშრუტი და თითოეულმა 104 დადებითი ქულა მოაგროვა. ჯაფარიძის გამოსვლა ამ დღეს კიდევ უფრო შთამბეჭდავი იყო: მან შესაძლებლობის მაქსიმუმი მოაგროვა — 120 ქულა. II ადგილისთვის დამატებით ბრძოლაში დიდი უპირატესობით გაიმარჯვა გონჯილაშვილმა.

დასკვნით დღეს გათამამდა „საქართველოს თასი“ (13 დაბრკოლება, 16 ნახტომი). ახალგაზრდა ცხენებით ასპარეზობისას კვლავ საუკეთესო იყო ტუსიშვილი (4 საჯარიმო ქულა), II — ბერძენიშვილი (10), III — ნოდარ სიფრაშვილი (10,75, ბორისპოლი, საცხენოსნო სკოლა). შეჯიბრების უმრწემესი მონაწილე ხურცია, რომელსაც მაყურებლის თანაგრძნობა არ აკლდა, მე-12 დაბრკოლებამდე შეუცდომლად მივიდა, მაგრამ აქ ცხენი ზედიზედ სამჯერ გაუჩერდა და მოიხსნა.

უფროსი ასაკის ცხენებით ასპარეზობაზე მხოლოდ რვა მონაწილე გამოვიდა (დაბრკოლებათა მაქსიმალური სიმაღლე 150 სმ იყო). ასპარეზობის პირველი ორი დღის ნამდვილმა გმირმა ჯაფარიძემ I ჰიტში 39 საჯარიმო ქულა მიიღო (ბარიერების დაზიანების გარდა, იყო გაურჩებაც, მხედრის ჩამოვარდნაც), ხოლო II ჰიტში პირველივე დაბრკოლებაზე წაეკვა შემდეგი ცხენი და მხედარმა აღარ გააგრძელა მარშრუტი. ვეტერანმა ამ ეპიზოდში გვიჩვენა, რომ ლამაზ გამარჯვებასთან ერთად, მას დამარცხების გადატანაც ღირსეულად შეუძლია. თუმც ჭაბუკი ანჩაბაძე დროდადრო თავისი ერთგული იაბოს იმედად რჩებოდა, ამ წყვილის მიერ ორი ჰიტის ჯამში დაგროვილი 20 საჯარიმო ქულა უმცირესი აღმოჩდა. II საპატიო ადგილი ამ ძნელ შეჯიბრებაში დაიკავა თბილისელმა სპორტის ოსტატმა კახაბერ კიკიანმა (34,5 დევიზი), III — ოჩამჩირელმა დავით ქუჩუბერიამ (40,5, რაპორტი).



ზვიად ანჩაბაძე ასპარეზობისას. რ. ღვამიჩავას ფოტო.

საქართველოს წლევანდელი აბსოლუტური ჩემპიონი გახდა გალელი ზვიად ანჩაბაძე, II ადგილზეა ოჩამჩირელი ჯონი წაბრია, III — თბილისელი კახაბერ კიკიანი (პრიზიორთა მწვრთნელები არიან მარდონ ლაბაშია, ოთარ ნარმანია, კირიაკ გაშიბაიაზოვი). ახალგაზრდა ცხენებით მოასპარეზე სპორტსმენთა შორის კი ადგილები ასე განაწილდა: I — ხვიჩა ტუსიშვილი (მწვრთნელი — კ. გაშიბაიაზოვი), II — ოთარ კოტუა, III— მერაბ სამუშია (ხალკაბადი, ოჩამჩირე).

სპეციალური პრიზი, რომელიც ფოთის ცხენოსნობის საქალაქო ფედერაციის ყოფილი თავმჯდომარის, აწ განსვენებული ზეიმი ტაბიძის სახელობაზე დააწესეს, გადაეცა სამივე კონკურში გამარჯვებულს ხვიჩა ტუსიშვილს. პოლკოვნიკი ზ. ტაბიძე იყო ფოთის მილიციის უფროსი, რომლის უანგარო და ყოველდღიურ ზრუნვას ქალაქში ცხენოსნობის განვითარებისადმი მადლიერებით იგონებს ყველა ფოთელი გულშემატკივარი. ფოთის საცხენოსნო კლუბის ბაზა ნამდვილად შეიძლება იქცეს რესპუბლიკაში ცხენოსნობის (კერძოდ, დაბრკოლებათა გადალახვის) საამედო კერად. მაგრამ ამისათვის საჭიროა, რომ ცხენოსნობის ძველი ტრადიციების, დაინტერესებული, ობიექტური მაყურებლის გარდა, საუკეთესო ბუნებრივ პირობებთან ერთად თვით აქაურ საცხენოსნო კლუბს ჰქონდეს იმის შესაძლებლობა, რომ მხარში ამოუდგეს რესპუბლიკის სხვა უფრო „შეძლებულ“ ბაზებს და ჯერჯერობით გულთადი, მაგრამ მხოლოდ პატივსაცემი სტუმრებით თავმომწონე ღარიბი მასპინძლის როლით არ შემოიფარგლოს. ამისთვის კი, ჩვენებური ხუმრობის არ იყოს, სულ „ცოტა“ რამ აკლიათ: სრულფასოვანი სპორტული ცხენები! დღეს ფოთში საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვთ ხაერთო ძალისხმევით სპორტის ცალკეული სახეობების წამოწევისა და ფართო ასპარეზზე გაყვანისა. აქ კი ცხენოსნობას, თუკი ასეთივე საერთო ზრუნვის ობიექტი გახდება, ერთობ ხელშემწყობი ნიადაგი უნდა დახვდეს და მისი ზოგადი სპორტულ-კულტურული მნიშვნელობაც ქალაქში და, როგორც ზევით ვთქვით, საქართველოს სპორტულ ცხოვრებაშიც, საკმაოდ დიდი იქნება.

კვლავ ჩემპიონატს მივუბრუნდეთ: მართალია, სხვადასხვა მიზეზის გამო ასპარეზობას აკლდა რამდენიმე გამოცდილი ოსტატი, მაინც საგრძნობი იყო რთული კონკურის მონაწილეთა და, მით უმეტეს, ბოლომდე დამძლევთა სიმცირე. ასე რომ, სამუშაო ბევრია. ბუნებრივია, ყველა ჩვენგანს ახარებს ცხენ-მხედრების ახალი სახელების გამოჩენა, მაგრამ როდესაც უკვე მეორე დღეს არა მარტო მარშრუტის გავლა, არამედ საერთოდ საკონკურო მოედანზე შემოსვლაც კი პრობლემად იქცევა ჯიშიანი ბედაურისათვის, ცხადია, რომ საწვრთნელი მუშაობის პროცესი სერიოზულ გადასინჯვას მოითხოვს. განა სადავოა, რომ, ვთქვათ, ოზურგეთის საცხენოსნო კლუბის ხელმძღვანელობამ საფუძვლიანად უნდა გაიაზროს თავისი დამოკიდებულება ცხენოსნობის კლასიკური სახეობების მიმართ: უკვე კარგა ხანია, ეს არცთუ მცირე შესაძლებლობების ბაზა (რომელსაც ცალკეული წარმატებაც მოეპოვება) რესპუბლიკურ ჩემპიონატებზე ერთადერთი ცხენის გამოგზავნით კმაყოფილდება, ხოლო იმ ცხენზე ამხედრებული ახალგაზრდები ხშირად საწყისი შეჯიბრების პირველივე ბარიერის დაძლევასაც ვერ ახერხებენ. თითქოს ყველაფერი ნათელია, თუ იმავე ახალბედა ცხენოსნების მიიმიტურ განცვიფრებას არ გავიზიარებთ: „რა ვიცი, შინ დაფრინავს და სხვაგან ნეტა რა მოსდის?“.

მოკლედ, თითქმის ყველა რესპუბლიკური მასშტაბის შეჯიბრება ახალი რაკურსით სვამს ნაცნობ პრობლემებს, რომელთა გადაწყვეტის იმედს მაინც არ ვკარგავთ ახალი შეჯიბრებების მოლოდინში.

ნოდარ ეგრალიძე,
„ლელოს“ სპეც. კორ.

ფოთი.

ჩემპიონატის ყველა მედალი

როგორც ვიუწყებოდით, მაინის ფრანკფურტში დამთავრებულ ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატში ყველაზე დიდ წარმატებას საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის ათლეტებმა მიაღწიეს. „ამ ქვეყნების წარმომადგენლებმა ყველაზე მეტი მედალი მიიღეს (5-5).

სულ კი ევროპის ჩემპიონატის ჯილდოები თორმეტი ქვეყნის ძიუდოისტებმა გაინაწილეს ასეთი თანამიმდევრობით:

	ო.	ვ.	ბ.
საფრანგეთი	3	—	2
სსრ კავშირი	2	—	3
გფრ	1	1	1
უნგრეთი	1	1	1
პოლონეთი	1	—	1
გდრ	—	2	2
ჰოლანდია	—	2	—
ინგლისი	—	1	1
ფინეთი	—	1	—
რუმინეთი	—	—	3
ბულგარეთი	—	—	1
ბელგია	—	—	1

გთავაზობთ ჩემპიონატის პრიზიორთა ვინაობას:

60 კგ. 1. ფ. პრადეროლი (საფრანგეთი), 2. ნ. დონოჰიუ (ინგლისი), 3. ა. ტოტიკაშვილი (სსრკ) და პ. ბოტევი (ბულგარეთი).

65 კგ. 1. ბ. კარაბეტა (საფრანგეთი), 2. უ. კველმალეი (გდრ), 3. ი. ლაატე (ბელგია) და ს. პატრაშკუ (რუმინეთი)... 15. გ. მოდებაძე (სსრკ).

71 კგ. 1. გ. შუმახერი (გფრ), 2. ი. კორხონენი (ფინეთი), 3. ბ. ჰაიტში (უნგრეთი) და ვ. ბლახი (პოლონეთი)... 7. გ. თენაძე (სსრკ).

78 კგ. 1. ბ. ვარაევი (სსრკ), 2. ზ. ოოლდოში (უნგრეთი), 3. ი. რუსუ (რუმინეთი) და ბ. ამეჰიუ (საფრანგეთი).

86 კგ. 1. ვ. ლეგენი (პოლონეთი), 2. ა. ლობენშტაინი (გდრ), 3. დ. ვაიტი (ინგლისი) და ფ. კანიუ (საფრანგეთი)... 9. ვ. ბუდიუკინი (სსრკ).

95 კგ. 1. ს. ტრენო (საფრანგეთი), 2. მ. მაილინგი (გფრ), 3. ჯ. კურტანიძე (სსრკ) და ფ. ბორკოვსკი (გდრ).

მძიმე. 1. ს. კოსოროტოვი (სსრკ), 2. ჰ. ვან ბარნევალდი (ჰოლანდია), 3. ფ. მიოლერი (გდრ) და მ. გროზია (რუმინეთი).

აბსოლუტური. 1. ლ. ტოლნაი (უნგრეთი), 2. ჰ. ვან ბარნევალდი (ჰოლანდია), 3. დ. ხახალეიშვილი (სსრკ) და ა. ფონ დერ გრიობენი (გფრ).

მსოფლიოდ ტექნიკური შედეგები

პოზნანში (პოლონეთი) 11-13 მაისს ჩატარდა ევროპის 54-ე ჩემპიონატი კლასიკურ ჭიდაობაში, რომელმაც ერთხელ კიდევ ცხადყო სსრ კავშირის ათლეტთა უპირატესობა როგორც პირად, ისე გუნდურ ჩათვლაში.

ქვემოთ მოგვყავს ჩემპიონატის პრიზიორთა სია:

48 კგ. 1. ს. სუვოროვი (სსრკ), 2. ი. დესკალესკუ (რუმინეთი), 3. ი. ფარაგო (უნგრეთი).

52 კგ. 1. ი. რიონინგენი (ნორვეგია), 2. ო. კუჩერენკო (სსრკ), 3. ვ. კრუმოვი (ბულგარეთი).

57 კგ. 1. პ. მუსიე (საფრანგეთი, 2. ა. სიკე (უნგრეთი), 3. რ. იულდოზი (გფრ).

62 კგ. 1. გ. ატმაკინი (სსრკ), 2. ი. ბოდი (უნგრეთი), 3. რ. ვოლნი (პოლონეთი).

68 კგ. 1. ი. დუგუჩიევი (სსრკ), 2. პ. კარარე (რუმინეთი), 3. გ. იალოუზი (საფრანგეთი).

74 კგ. 1. ტ. კორნბაკუ (შვეცია), 2. ტ. კარილა (ფინეთი), 3. ი. ზემანი (ჩეხოსლოვაკია).

82 კგ. 1. ტ. ზანდერი (გფრ), 2. ს. ნასევიჩი (სსრკ), 3. ტ. ანგელოვი (ბულგარეთი).

90 კგ. 1. პ. პოტაპოვი (სსრკ), 2. მ. კრაშევსკი (პოლონეთი), 3. ტ. კომარომი (უნგრეთი).

100 კგ. 1. ა. ფედორენკო (სსრკ), 2. მ. ბულმანი (გდრ), 3. ა. ვრონსკი (პოლონეთი).

130 კგ. 1. ა. კარელინი (სსრკ), 2. რ. გეროვსკი (ბულგარეთი), 3 ი. გრიგორაში (რუმინეთი).

კლასიკური ჭიდაობა

ლაბტის ფრეში

ისევ ჯოხიანების უპირატესობით

მოგეხსენებათ, ამ ბოლო პერიოდში დიდი აურადღება ეთმობა ქართული ჭიდაობის აღორძინებას. ხაშურის რაიონშიც ბევრი მოწადინებული ენთუზიასტია და მათი დახმარებით ქვიშხეთის სპორტულ ბაზაზე, კერძოდ, ლევან თედიაშვილის სახელობის ფალავანთა კლუბის დარბაზში მაღალ დონეზე ჩატარდა ზონალური პირველობა რესპუბლიკის X სპარტაკიადის პროგრამით. სარბიელზე ბევრი კარგი მოჭიდავე გამოვიდა: კობა კუპატაძე, ავთანდილ მულაძე, ივანე გამხიტაშვილი, ნიკოლოზ ჯალაბაძე და სხვები. ყოველ წონაში შვიდ საუკეთესოს შორის მოხვედრილმა სპორტსმენებმა სპარტაკიადის ფინალის საგაზურები გაინაღდეს, რომელიც 5-8 ივნისს ტყიბულში ჩატარდება.

ხაშურის რაიონის ხოფლებში: ქვიშხეთში, ოსიაურში, ვაყაში ურიგო საჭიდაო სარბიელები როდი აქვთ, მაგრამ ჩვენ (ბატონი ქრისტეფორე ნინიაშვილი და ამ სტრიქონების ავტორი) პირველ რიგში თვით რაიონის ცენტრის სპორტული ბაზით დავინტერესდით, რადგან ამ ბაზის შესახებ ხშირად ცუდი გვსმენია. საკვირველიც კი არის, ხაშურის რაიონში ჭიდაობის ბევრი გულშემატკივარი და ქომაგია, ხოლო მთავარი ბაზა ასეთ მდგომარეობაში აქვთ.

ხაშურის სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ ჯუმბერ კურტანიძემ დამლაგებელი გამოგვაყოლა, რომელიც გზადაგზა გვაფრთხილებდა: არ შეხვიდეთ, შვილო, დაისვრებიო! თუ მეთოდისტ მევლუდ ლომიძეს დავუჯერებთ, დარბაზში მუშაობს ძიუდოს, თავისუფალი და კლასიკური ჭიდაობის, სამბოს ჯგუფები (ქართულ ჭიდაობასთან ერთად), სულ 12 ჯგუფი. რესპუბლიკის ნაკრებში ექვსი აქაური სპორტსმენი ზრიცხება. აქვე მოგახსენებთ, რომ ხაშურის სპორტსკოლამ აღზარდა რობიზონ და რამაზ ხარშილაძეები, ყველასთვის ცნობილი ფალავნები.



ხედავთ რა დღეშია საჭიდაო ლეიბები?

დარბაზის კარების ერთი ფრთა ფანერითაა აჭედილი, ხოლო მეორეს, საერთოდ, მინა არ ჰქონდა. პროფესიით ჟურნალისტი არა ვარ და მთლიანად ვერ გადმოგცემთ იმ სურათს, რაც ჩვენ იქ ვიხილეთ: ფანჯრის მინები ჩალეწილია, ზოგან მინის მაგივრობას ფანერი სწევს, ზოგან ცელოფანი, ლეიბები კი დაგლეჯილია, დახეულია, ლეიბების გადახაფარებელიც და ყველაფერი ეს ოთახში ბულულებად კუთხეებში ეყარა. დიდი დარბაზი, რომელიც ამჟამად ბილიარდის მოთამაშეებს უკავიათ, ადრე თურმე ჭიდაობის დარბაზი ყოფილა, იქიდან გამოუყრიათ ჭიდაობის ხუთივე სახეობის წარმომადგენლები.

დიდ დარბაზში, რომლის სიგანე 10 და სიგრძე 25 მეტრია, ოთხი ბილიარდის მაგიდა დაუდგავთ და ფასიანი ჯგუფები გაუხსნიათ. მოჭიდავეები კი... ნეტავ სპორტსმენთა მშობლები თუ დაინტერესებულან, სად და რა პირობებში ვარჯიშობენ მათი შვილები? იმ პატარა დარბაზში ადამიანს არ შეეხვლება.

გამოკითხვისას გამოირკვა, რომ ძველი შენობა სპორტსკოლას ჩამოართვეს და გადასცეს კომკავშირს (სადაც ამჟამად უნდა ფუნქციონირებდეს ახალგაზრდული კლუბი, რომელიც ამჟამად უმოქმედოდაა), ამის შემდეგ გადმოვიდნენ ჭიდაობის ხუთივე სახეობის წარმომადგენლები აღნიშნულ დიდ დარბაზში, და როგორც გითხარით, მობილიარდეებმა იხანი მცირე დარბაზში გახიზნეს. მკითხველს ალბათ გაგიკვირდება, რა მოხდა, ვითომ რატომ დაჩაგრეს მობილიარდეებმა მოჭიდავეებიო. ამაზე ადრე „ახკომში“ და „ლელოში“ დაწერილა კრიტიკული წერილები. ხაშურის დარბაზი, რომელზეც საუბარი გვაქვს, რაიონის კულტურულ-სპორტულ კომპლექსში შედის და იგი ხაშურის განათლების განყოფილების გამგებლობაშია. იქ მოჭიდავეები მდგმურებად ითვლებიან და უსახსყიდლოდ ვარჯიშობენ (ალბათ ამიტომ დაჩაგრეს). ხაშურის სპორტსკოლის დირექტორმა ჯუმბერ კურტანიძემ საუბრისას თქვა: ძველი სპორტსკოლა, რომელიც კომკავშირს გადასცეს, ამჟამადაც უმოქმედოა. ეს შენობა იქნებ სპორტსკოლად გადაკეთდეს, რათა მდგმურად აღარ ჩაგვთვალონ და ნორმალური მუშაობის საშუალება შოგვცენო.

სპორტკომიტეტის თავმჯდომარის ოთახში ვიხხედით, როცა ერთი მოქალაქე შემოვიდა და დაგვიწყო ჩხუბი თუ ვინ ვიყავით და რა უფლებით გადავიღეთ სურათები დარბაზში დირექტორის ნებართვის გარეშე. გამოკითხვისას იგი აღმოჩნდა ვალერიან გიგუაშვილი, რომელმაც გვითხრა, რომ მუშაობს მილარიდ. თუმცა, ვიდრე დაგვშორდებოდა, სამჯერ „შეიცვალა“ პროფესია და ახლა არ ვიცით, ანუ გაშენარეთ, რატომ ტაბდა დირექტორი (პროსტიტ, შემდეგ დირექტორი (ელაშვილი) მოიყვანეს, რომელმაც დაგვიწყო მტკიცება, რომ ჩვენ ამ ბიბარეშე უფლება არ გვქონდა სურათების გადაღებისა. შემდეგ თავის მხრივ დახმინა: არაერთხელ მივმართე ხაშურის აღმასკომისა და განათლების ხელმძღვანელობას, ვისაც შეუძლია გადაწყვიტოს სპორტსკოლის ბედი, მაგრამ ჩემი მიმართვები ყოველთვის უშედეგოდ მთავრდებაო.

ძნელი დასაჯერებელია, რომ კაცს, რომელმაც მოჭიდავეები გამოყარა დარბაზიდან, ბილიარდის 4 მაგიდა შეიტანა და ფასიანი სათამაშო გახსნა, ჭიდაობის ბედ-იღბალი აინტერესებდეს.

1979 წლიდან 1989 წლამდე ხაშურში ქართულ ჭიდაობას სათავეში ედგა გამოცდილი სპორტსმენი ოთარ შერაზადაშვილი, რომელმაც დარბაზის უქონლობის გამო დაანება თავი სპორტს. ეტყობა, ხაშურის ხელმძღვანელობამ ვერ შეაფასა ამ ახალგაზრდის შრომა და ამ შრომის ხიკეთე.

არადა, სწორედ ახლა გვჭირდება ყველას თანადგომა და დახმარება ჩვენი ეროვნული სპორტის და პირველ რიგში, ქართული ჭიდაობის განვითარებისა და საერთაშორისო სარბიელზე გატანისათვის. ხაშურში კი...

რობიზონ ნუსხელაძე,
სპორტის ოსტატი ქართულ ჭიდაობაში.

* * *

ავტორის თხოვნით ბონორარი გადაირიცხება სეოკ-ის ფონდში.



საქართველოს XXIII ჩემპიონატი რაგბიში

გაიმართა საქართველოს მორაგბეთა ჩემპიონატის -VI ტურის შეხვედრები.

12 მაისს ქუთაისში ითამაშეს „აიამ“ და სტუ-მ (გუნდების შეთანხმებით, ეს შეხვედრა გადმოტანილ იქნა VIII ტურიდან). ანგარიშით 27:22 გაიმარჯვეს ქუთაისელებმა. მომდევნო დღეს ამ გუნდებმა აქვე, ქუთაისში გამართეს VI ტურის კალენდარული შეხვედრა. ეს მატჩიც „აიას“ გამარჯვებით დასრულდა — 20:10.

13 მაისს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის გუნდები „მიმინო“ და „შევარდენი“. ანგარიშით 25:9 გაიმარჯვა „მიმინომ“.

ვარკეთილის სტადიონზე რაგბის ასოციაციის გუნდმა დაამარცხა თბილისის უნივერსიტეტის მორაგბეები — 20:10.

რაგბისთვის უჩვეულო ანგარიშით — 0:0 — დასრულდა მატჩი ჭიათურაში ადგილობრივ „იმერეთსა“ და „აკადემიას“ (თბილისი) შორის.

ამ ტურის ერთი მატჩი „ელმავალი“ — „ზოოვეტი“ მოგვიანებით გაიმართება.

* * *

მორაგბეთა საკავშირო ჩემპიონატის მატჩში თბილისის „ელმავალმა“ უმასპინძლა მონინოს სსა-ს და დაამარცხა ანგარიშით 16:4.

პირველი ტურნე სტატისტიკის ენაზე

(დასასრული)

საქართველოს ნაკრების შემადგენლობა

	თამაშები I	II	III	IV
ვ. საცერაძე („ელმ.“)	15	15*	—	—
ა. ხვედელიძე („ელმ.“)	14	14	14	14
ე. გეგუჩაძე („აია“)	13	13	—	11
ო. ლიპარტელიანი („აია“)	12	12	11	12
მ. მარჯანიშვილი („ელმ.“)	11	11	13	13
დ. ჩავლეიშვილი („ელმ.“)	10	(10)	10	10
მ. ჭეიშვილი („ასოც.“)	9	9	—	9
ნ. ძაგნიძე („აია“)	—	10,15	15	15
თ. თავაძე („ელმ.“)	—	—	12	—
ი. ქერაული („ელმ.“)	—	—	9	—
ზ. ბაკურაძე („ელმ.“)	1	—	—	1
თ. ტურძელაძე („აია“)	2	2	2	2*
ბ. ლილუაშვილი („აია“)	3	3	3	3
თ. ფხაკაძე („აია“)	6	6	—	6
თ. ხუადე („ელმ.“)	4	4	4	4
ა. ნაჭყებია („აია“)	5*	5	8	8
ბ. შვანგირაძე („აია“)	7	7	—	7
გ. გიუნაშვილი („ელმ.“)	8	8	7*	—
კ. გიუნაშვილი („ელმ.“)	—	1	1	(2)
გ. რაფავა („ელმ.“)	(5)	—	5	5
რ. ჯაფარაშვილი („ელმ.“)	—	—	6	—

განმარტება: ცხრილში ნაჩვენებია, თუ შოთხმაშეებმა ცალკეულ შეხვედრებში გუნდში რა ადგილებზე ითამაშეს. ვარსკვლავი აღნიშნავს დაშავებული მოთამაშის შეცვლას, ფრჩხილებში ჩასმული ნომერი კი შემცვლელის გასწვრივ წერია.

სტატისტიკის მომზადებაში დიდი დახმარება გაგვიწია რაგბიში „ლელოს“ მიმომხილველმა ზაალ გიგინეიშვილმა.

ფლორა — ბელგია

ოლბორგი (დანია). ევროპის ჩემპიონატის პირველი ოქროს მედლები ბულგარელ ძალოსნებს ხვდათ. 52 კგ. წონაში გამარჯვება მოიპოვა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონმა ივან ივანოვმა, რომელმაც ორჭიდის ჯამში 265 კგ დააგროვა. მომდევნო წონაში (56 კგ) ჩემპიონი გახდა სევდალინ მარინოვი, რომელმაც ასევე 265 კგ დააგროვა.

პრაღა. მშვიდობის ველორბოლის მეექვსე ეტაპი ჰოლანდიელმა რობერ ვან დე ვინმა მოიგო. 206 კმ იიგლავადან სლიუსოვიჩამდე მან 5:12.48-ში დაფარა. ექვსი ეტაპის შემდეგ რბოლას ლიდერობს ბერტ დიტცი (გდრ).. მომდევნო ადგილებზე არიან იან სვოროდა (ჩეხოსლოვაკია) და ფალკ ბოდენი (გდრ).

მადრიდი. ველორბოლაში ესპანეთის გზებზე („ვუელტა“) კვლავ წინაა მარკო ჯოვანეტი (იტალია). მას მცირედით ჩამორჩებიან ესპანელები პედრო დელგადო და ანსელდმო ფუერტე. 21-ე ეტაპი კი ფრანგმა დენი რუამ მოიგო. 186 კმ გავლას მან 5:09.28 მოანდომა.

ჰავანა. ცხრათვიანი შესვენების შემდეგ, რომელიც მუხლის ტრავმით იყო გამოწვეული, ხტომის სექტორში ჩადგა მსოფლიოს რეკორდსმენი ხავიერ სოტომაიორი და კვლავ პირველი ადგილი დაიკავა სიმაღლეზე ხტომაში — 232 სმ. ეს შედეგი წლეულს მსოფლიოში საუკეთესოა.

ჰანოვერი. დასავლეთ გერმანიის ამ ქალაქში გამართული 10 კილომეტრიანი რბენა მოიგეს ვაჟთა შორის ჰეინერ მებეშმა — 28.47, ქალებში კი კატრინ დორემ (ორივე — გდრ) — 33.05.

„სპორტპროგნოზი“

მე-19 ტირაჟის შედეგები (11-14 მაისი)

1—X, 2—X, 3—X, 4—1, 5—1, 6—2, 7—1, 8—1, 9—X, 10—X, 11—1, 12—1, 13—1.

შენიშვნა: პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს. მე-11 წყვილის შედეგი, თამაშის გადატანასთან დაკავშირებით, განსაზღვრულია წილისყრით.

სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

14 მაისს მოსკოვში, „ტორპედოს“ სტადიონზე, გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მატჩები უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის. ადგილობრივმა ტორპედოელებმა მიიღეს დონეცკის „შახტიორი“ და ფრედ დაამთავრეს თამაში — 1:1.

დღეს მოსკოვში გაიმართება კიდევ ერთი შეხვედრა უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის (მოსკოვის „დინამო“ —ერევნის „არარატი“) და შემდეგ საკავშირო ჩემპიონატში დადგება თითქმის ორთვიანი შესვენება. ამ პერიოდში საკავშირო ნაკრები მოემზადება მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ტურნირისთვის და შემდეგ მონაწილეობას მიიღებს უშუალოდ მსოფლიო პირველობის თამაშებში. ამ მზადების ერთ-ერთი ეტაპია დღევანდელი ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ისრაელისა და სსრ კავშირის გუნდებს შორის, რომლის ტრანსლაცია ისრაელიდან იწარმოებს ცენტრალური ტელევიზიით 22 საათსა და 55 წუთიდან თბილისის დროით.

* * *

საბჭოთა ნაკრების ხელმძღვანელობამ გამოაქვეყნა იმ მოთამაშეთა სია, რომლებიც ამხანაგურ მატჩში მონაწილეობის მისაღებად ისრაელში გაემგზავრნენ: ჩანოვი, ხარინი, ფოკინი, ხიდიატულინი, კუზნეცოვი, ცვეობა, შმატოვალენკო, დემიანენკო, იარემჩუკი, ლიტოვჩენკო, მიხაილიჩენკო, ზიგმანტოვიჩი, დობროვოლსკი, რაცი, პროტასოვი, შმაროვი.

„სპორტლოტო“

გაიმართა „სპორტლოტოს“ 1990 წლის მე-19 ტირაჟები.

„სპორტლოტო 6 45“-დან: 2 (ბიატლონი), 12 (ტანვარჯიში), 14 (აკადემიური ნიჩბოსნობა), 26 (თანამედროვე ხუთჭიდი), 36 (მხატვრული ტანვარჯიში), 39 (ბადმინტონი).

„სპორტლოტო 5 36“-დან: 2 (ბიატლონი), 4 (კრივი), 26 (თანამედროვე ხუთჭიდი), 33 (ფეხბურთი), 34 (ბალახის ჰოკეი.

ეს საშინელი მიწის კორტები

მიფიესაშარიან კორტებზე თამაში არ არის მარტინა ნავრატილოვასა და ბორის ბეკერის სპეციალობა. მათი მთავარი კოზირია ძლიერი დარტყმები და აქტიური თამაში ბადესთან, რაც განსაკუთრებით ეფექტურია ბალახის კორტებზე. სწორედ ამიტომ მიწის საფარზე ამ სახელმოხვეჭილ ოსტატებს, ფაქტიურად, არც ერთი მნიშვნელოვანი ტურნირი არ „მოუგიათ.

აი, ახლაც ასე მოხდა. იტალიის ღია ჩემპიონატის ფინალში ამერიკელმა მარტინა ნავრატილოვამ დაუჯერებელი მარცხი განიცადა 16 წლის იუგოსლავიელ მონიკა სელეშისთან — 1:6, 1:6. ბრძოლა სულ რაღაც 53 წუთს გრძელდებოდა.

სელეში მსოფლიო ჩოგბურთის ელიტაში შარშან შეიჭრა. წლევანდელ სეზონში კი უკვე ოთხი საერთაშორისო ტურნირი მოიგო ზედიზედ. მსოფლიოს უძლიერეს ჩოგბურთელთა კლასიფიკაციაში ახლა იგი მესამე ადგილზეა შტეფი გრაფის (გფრ) და მარტინა ნავრატილოვას შემდეგ. სპეციალისტთა ინტერესს იწვევს გრაფისა და სელეშის მოსალოდნელი მატჩი საფრანგეთის ღია ჩემპიონატში.

ბორის ბეკერს (გფრ) შანსი ჰქონდა დაერღვია მისთვის უსიამოვნო ტრადიცია და მოეგო ჰამბურგის საერთაშორისო ტურნირი, რომელიც მიწის კორტებზე ტარდება. ბეკერმა მიაღწია კიდეც ფინალამდე, მაგრამ გადამწყვეტ შეხვედრაში 10 ათას თანამემამულეს იმედები გაუწბილა — იგი დამარცხდა სამ პარტიაში 28 წლის ესპანელ ხუან აგილერთან, რომელიც აშკარად ჩამორჩება ბეკერს ოსტატობაში — 1:6, 0:6, 6:7. უიმბლდონის სამგზის ჩემპიონს, მართლაც, არ სწყალობს ბედი მიწის კორტებზე. აგილერმა კი, ჰამბურგის ტურნირზე გამარჯვებით, მსოფლიოს რეიტინგში ოცდამეექვსედან მე-14 ადგილზე გადმოინაცვლა.

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.

ინდექსი 88485. საქართველოს კპ ცკ-ის კომუნისტების სტამბა 380002, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით ბიგზეთი კორპუსში, ხიშარიულის ქ. 29. უე 00351